

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“



საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი
ბიოლოგიის დეპარტამენტი

დალი ქამადაძე

„იაპონური კამელიის (*Camellia japonica* L.) აჭარაში
გავრცელებული და ბათუმის ბოტანიკურ ბაღში
გამოყვანილი ჰიბრიდების ზრდა-განვითარების,
ყვავილობისა და გამრავლების ბიოლოგიური და
გენეტიკური თავისებურებანი“

(წარდგენილი ბიოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად)

სპეციალობა: მცენარეთა გენეტიკა

ა ნ ო ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები
დავით ბარათაშვილი, ბიოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ზურაბ ბაკურიძე,
ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი

ბათუმი-2016

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტში.

სამეცნიერო ხელმძღვანელები: **დავით ბარათაშვილი** -
ბიოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
ზურაბ ბაკურიძე
ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური
დოქტორი

უცხოელი შემფასებლები: **სირანუშ ნანაგულიანი**
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, ერავანის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბოტანიკისა და
მიკოლოგიის კათედრის გამგე
ოზუგურ ემინაძე
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ართვინის ჭოროხის
უნივერსიტეტის სატყეო საინჟინრო
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

შემფასებლები: **ქეთევან დოლიძე**
ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის
პროფესორი
ნანა ზარნაძე
ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის
ასოცირებული პროფესორი
შორენა შარია
ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორი

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედგება 2017 წლის 31 მარტს, 13 საათზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე. მისამართი: ბათუმი, ნინოშვილის ქ. № 35, ოთახი 328

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და ამავე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

6. ქამადაძე დ. იაპონური კამელიის ვეგეტაციური გამრავლებისა და ზრდა-განვითარების ბიოლოგიური თავისებურებანი. სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი. საქართველო, გორი, 2013, გვ. 168-172;
7. ქამადაძე დ., ბარათაშვილი დ. იაპონური კამელიის ფორმათა მრავალფეროვნება აჭარაში. ბათუმის ბოტანიკური ბაღის მოამბე. ბათუმი, საქართველო, 2013 წელი გვ. 275-277;
8. ქამადაძე დ. იაპონური კამელიის ჯიშებისა და ფორმების ბიოლოგიური მრავალფეროვნება აჭარაში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: აჭარა მდგრადი განვითარება და მომავალი. აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი, 2011, გვ. 88-96;
9. ქამადაძე დ. იაპონური კამელიის ვეგეტაციური გამრავლებისა და ზრდა-განვითარების თავისებურებანი. სსიპ ბათუმის ბოტანიკური ბაღის მოამბე, 2009, ტ.33, გვ.215-218;
10. ბაკურიძე. ზ. ქამადაძე დ. გვარი კამელიის ბიომრავალფეროვნება აჭარაში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: აჭარის (სამხრეთ კოლხეთის) ბიოლოგიური მრავალფეროვნება. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სსიპ ბათუმის ბოტანიკური, ბათუმი, 2009, გვ. 228-237;
11. ქამადაძე დ. ბარათაშვილი დ. „ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ინტროდუცირებული გვარი კამელიის სახეობათა ზოგადი მორფოლოგიური დახასიათება“ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები: „კოლხა 2009“ აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2009, გვ. 218-221;
12. ბაკურიძე. ზ. ქამადაძე დ. ჩხუბაძე. გ. იაპონური კამელიის ჰაბიტუსის პარამეტრების შიგასახეობრივი ცვალებადობა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „თანამედროვე ტექნოლოგიები და მასალები“ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2008, გვ. 44-45;

ბიოლოგიური თავისებურებებისა და სამეურნეო - დეკორაციული შეფასების საფუძველზე ჩვენს მიერ გამოყოფილი იქნა იაპონური კამელიის 15 ჯიში (Delectissima, Beni-karako, Aranin, Anemonaeflora, Anemonaeflora Alba, Anemonaeflora rosea, Derbyana, Eleqans, Pelaqia, Margaret Walker, Goffredo odero, Marchionss of Salisbury, Aurora, Hibiscus და Eleonor Franchetti), 6 ჰიბრიდი (## 524, 522, 390, 640, 535 და 5529) და 6 ფორმა (## 42, 43, 37, 51, 53, 58), რომელთა მწვანე მშენებლობაში დანერგვა მნიშვნელოვნად გაამრავალფეროვნებს სკვერებსა და ბაღ პარკებს. შემუშავებულია იაპონური კამელიის საქონე კულტურად ფორმირებისა და გამოყენების ტექნოლოგია, რომელიც წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნას ინტერიერის მოსაწყობად.

შრომების სია

1. Maka Muradashvili, Mariam Metreveli, Julieta Jakeli, Galina Meparishvili, Feride Tchaidze and Dali Kamadadze. Screening of Adjara seashides dendron plant extractson in ralstonia solanacearum n-vitro growth of Ralstonia Solanacearum. International Journal of Current Research Vol. 8, Issue, 01, January, 2016, pp. 24894-24896;
2. Dali Kamadadze., Davit BarataSvili., Elza Kamadadze., Aleko Kalandia., Mariam Metreveli. The Biological Peculiarities Coloration of the Japanese Camellia Flower. International Journal of Current Research Vol. 7, Issue, 07, June, 2015. pp. 17683-17688;
3. ქამადაძე დ., ბარათაშვილი დ. იაპონური კამელიის ჰიბრიდების ყვავილობა აჭარაში. საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის მოამბე, თბილისი, 2015, @# 34, გვ. 49-51;
4. ქამადაძე დ., ბარათაშვილი დ. იაპონური კამელიის ჰიბრიდების მრავალფეროვნება აჭარაში. საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის მოამბე, თბილისი, 2015, @# 34, გვ. 52-54;
5. ქამადაძე დ., ბარათაშვილი დ. რაოდენობრივი ნიშნების ცვალებადობა იაპონურ კამელიაში. საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის მოამბე, თბილისი, 2015, @# 34, გვ. 60-63;

თემის აქტუალობა: იაპონური კამელია (Camellia japonica L) ყვავილის ფორმის, სიდიდის, ყვავილობის ხანგრძლიობის, ზამთარმოყვავილობის, მარადმწვანე ორიგინალური ვარჯის, შეფოთვლისა და სხვა ღირსებების გამო ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და უნიკალური დეკორატიული მცენარეა. მას სხვა დანიშნულებაც აქვს, შესაძლებელია მისი ფართო გამოყენება მრეწველობაში, მედიცინასა და პარფიუმერიაში, იგი მრავალწლიან მერქნიან დეკორაციულ მცენარეებს შორის იშვიათობას წარმოადგენს, თუმცა ამ კულტურის არასაკმარისი პოპულარიზაციის, მისდამი მეცნიერების ნაკლები დაინტერესებისა და ამ პროფილის აგრონომების დაბალი კვალიფიკაციის გამო საქართველოს დეკორატიულ მეზღობაში არასაკმარისად გამოყენება. თითქმის არ არის დამუშავებული კამელიის ვეგეტატიური გამრავლების ინტენსიური ტექნოლოგია საქონე კულტურად, ასევე შეუსწავლელი და მწვანე მშენებლობაში გამოყენებულია ბათუმის ბოტანიკურ ბაღში გამოყვანილი მაღალდეკორატიული ღირებულების ჰიბრიდები და ბაღში არსებული საერთაშორისო აღიარების მქონე მრავალი კომერციული ჯიში.

აქედან გამომდინარე იაპონური კამელიის ჯიშების გამორჩევა, სელექციურ-გენეტიკური და გამრავლების ბიოლოგიური თავისებურებების შესწავლა მეტად აქტუალური საკითხია და საჭიროებს მრავალმხრივ მიდგომასა და სათანადო მეცნიერულ დამუშავებას.

კვლევის მიზანი და ამოცანები: კვლევის მიზანს წარმოადგენდა იაპონური კამელიის ბათუმის ბოტანიკური ბაღის კოლექციაში არსებული და აჭარის შავი ზღვის სანაპირო ზოლში გავრცელებული და მაღალდეკორატიული ჯიშებისა და ჰიბრიდების ზრდა-განვითარების, ყვავილობისა და გამრავლების ბიოეკოლოგიური და გენეტიკური თავისებურებების შესწავლა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დასახული იყო შემდეგი ამოცანები:

- ექსპედიციური გამოკვლევების გზით იაპონური კამელიის აჭარაში გავრცელებული ჯიშების, ფორმებისა და ჰიბრიდების

მრავალფეროვნების, მათი იდენტიფიკაციის, ზრდა-განვითარებისა და გამრავლების ბიოლოგიური თავისებურებების შესწავლა;

➤ იაპონური კამელიის ზოგიერთი რაოდენობრივი და თვისობრივი ნიშნის (ყვავილის ფერი, ფორმა, გენერაციული აქტივობა, ყვავილობის ხანგრძლივობა, ფოთლის სიდიდე და სხვა) ცვალებადობის თავისებურებების შესწავლა და მათ შორის კორელაციური კავშირების დადგენა;

➤ იაპონური კამელიის ყვავილის შეფერილობის სპექტრისა და სიხშირის შესწავლა ორგანიზმის დონეზე.

➤ ფოთლის პიგმენტაციის ცვალებადობის სიხშირისა და სპექტრის შესწავლა და მემკვიდრეობით გადაცემა ვეგეტატიურ თაობაში;

➤ ნიშან-თვისებათა მემკვიდრეობითობის შესწავლა რეციპროკული შეჯვარების გზით;

➤ იაპონურ კამელიის ახალი ჯიშების ინტროდუქცია;

➤ იაპონური კამელიის მაღალდეკორატიული ჯიშების გამოვლენა-გამოყოფა და მათი პრაქტიკაში დანერგვის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილება, ბსუ-ს ბიოლოგიის დეპარტამენტის იმუნოგენეტიკისა და ბიოტექნოლოგიის ლაბორატორია, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის, ქიმიური ანალიზისა და სურსათის უსაფრთხოების განყოფილება, ბათუმის ბოტანიკურ ბაღი.

აპრობაცია: კვლევის ძირითადი შედეგები მოხსენდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე:

➤ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „თანამედროვე ტაქნოლოგიები და მასალები“ ქუთაისი, 2008.

რილობა (მამა), ხოლო 34%-ის შემთხვევაში ვლინდება არა გარდამავალი, არამედ ყვავილის სრულიად განსხვავებული შეფერილობა, რომელიც წარმოადგენს თეთრი, წითელი და იასამნისფერი შეფერილობის კომბინაციებს.

11. იაპონური კამელიის რეციპროკული შეჯვარებისას მიღებული რეკომბინატების მორფოლოგიური ანალიზი ცხადყოფს, რომ ზოგიერთ ნათესარს გაცილებით უფრო დიდი ზომის ფოთოლი და გმელი ყუნწი აქვს ვიდრე შესაჯვარებელ კომპონენტებს.

რეკომენდაციები

საქართველოში ინტროდუცირებულ ყვავილიან მცენარეთა ჯიშებს შორის კამელიას დეკორატიულ მებაღეობაში არასაკმარისად იყენებენ, არავისში ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ კამელია თავისი მშვენიერი მუქი-მწვანე პრიალა ფოთლებით, სხვადასხვა ფორმისა და შეფერილობის ყვავილებით, მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ბუნებრივ და კულტურულ ლანდშაფტებში.

დენროლოგიური პროექტის შედეგის დროს, ასორტიმენტში გათვალისწინებული უნდა იყოს *Camellia oleifera* Abel-სა და კამელია *Camellia sasanqua* - ს ადრემოყვავილე (ოქტომბერ-ნოემბერი) ჯიშები: *Asahi-no-sora*, *Asa-qasumi*, *Beni-zuru*, *Gyobi-qoromo*, *Hino-hakama*, *Lavender pink*, *Lavender queen*, *Matsu-no-yuki*, *Rosea*, *Neqishi-ko Versicolor*, რომელთა ყვავილობა წინ უსწრებს იაპონური კამელიის ჯიშების ყვავილობას.

ბალ-პარკების მწვანე მშენებლობაში ჩართული უნდა იქნას *Camellia japonica* L. -ს ადრე მოყვავილე (*Delectissima*, *Beni-karako*, *Aranin*, *Anemonaeflora*, *Anemonaeflora Alba*, *Anemonaeflora rosea*, *Derbyana* და *Marchionss of Salisbury* და სხვა) და გვიან მოყვავილე (*Aurora*, *Hibiscus* და *Eleonor Franchetti* და სხვა) ჯიშები, რომლებიც ყვავილობის დეკორატიულ ეფექტს ასრულებს ზაფხულში.

შედარებით მაღალი ტემპერატურის პირობებში (16,6-17,2 C°) მცენარე ივითარებს წითელ ყვავილებს;

6. აჭარაში გავრცელებული იაპონური კამელიები გენეტიკური თვალსაზრისით დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. რიგი ჯიშები ერთი მცენარის ფარგლებში ივითარებენ ერთი შეფერილობისა და ფორმის ყვავილებს, მაშინ, როდესაც ჯიშების მე-2 ნაწილი ივითარებს მრავალი მიმართულებით განსხვავებულ ყვავილს.

7. იაპონური კამელიის ოთხი ჯიშის ყვავილში შესწავლილია ფლავონოიდურ ნაერთთა თვისობრივი და რაოდენობრივი შემცველობა. იდენტიფიცირებულია ორი დომინანტი ნაერთი: ციანიდინ -3-გლუკოზიდი და ციანიდინ-3-დიგლუკოზიდი. დადგენილია, რომ მათი ყველაზე მაღალი შემცველობა (730 მგ/კგ) აღინიშნება კამელია ჯიშ Takayma-ში (ყვავილის შეფერილობა წითელი), ყველაზე დაბალი Margaret Walker-ა-სა (30 მგ/კგ) და Margaret Walker-ბ-ში (60 მგ/კგ) ყვავილის შეფერილობა ბოლო ორივე შემთხვევაში თეთრია;

8. დადგენილია იაპონური კამელიის ფოთლის ყუნწის სიგრძის პირდაპირ კორელაციური დამოკიდებულება ყვავილის სიდიდესთან, რაც უფრო მეტია ყუნწის სიგრძე, მით უფრო მეტია ყვავილის სიდიდე და პირიქით.

9. ქლოროფილური ქიმერები იაპონურ კამელიაში საკამაოდ იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს და იგი მკვეთრად გამოხატულია მხოლოდ ორ ჯიშში Pelagia -სა და Eleqans-ში. პირველი ჯიშის შემთხვევაში V₁ თაობაში მემკვიდრეობს პლასტიდურ ცვლილებათა 14,2±2,6%, ხოლო V₂ თაობაში - 10,4±2,4%, მეორე ჯიშის შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებელი უფრო მაღალია და შეადგენს შესაბამისად 24,6±3,2% და 19,1±3,1%-ს;

10. კამელიის ჯიშთაშორის ჰიბრიდებში ყვავილის შეფერილობა, ჯიშების მიხედვით განსხვავებულად მემკვიდრეობს. ანემონეფლორა X გრანდიფლორა ალბა კომბინაციის შემთხვევაში ჰიბრიდებს 50%-ში აღინიშნება ყვავილის წითელი შეფერილობა (დედის მხრიდან), 16%-ის შემთხვევაში ვლინდება ყვავილის თეთრი შეფე-

➤ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები: „კოლხა 2009“. ქუთაისი 2009.

➤ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: აჭარის (სამხრეთ კოლხეთის) ბიოლოგიური მრავალფეროვნება. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმის ბოტანიკური. ბათუმი, 2009;

➤ აჭარა მდგრადი განვითარება და მომავალი. აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი 2011;

➤ ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალები. ბათუმი 2013;

➤ მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „თანამედროვე მეცნიერული საკითხები“. გორი 2013.

➤ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე (ქობულეთი 2014-2015);

➤ სადისერტაციო ნაშრომმა აპრობაცია გაიარა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე, ბიოლოგიის დეპარტამენტში (სხდომის ოქმი #12 ...24.07. 2016 წ);

პუბლიკაციები: დისერტაციის თემის ირგვლივ გამოქვეყნებულია 12 სამეცნიერო ნაშრომი.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. სადისერტაციო ნაშრომის შინაარსი გადმოცემულია კომპიუტერზე ნაბეჭდ 169 გვერდზე, მათ შორის ძირითადი ნაწილი მოიცავს 147 გვერდს, დანართი 8 გვერდს, ნაშრომი შედგება 6 თავს, 19 ქვეთავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან. სადისერტაციო ნაშრომი ილუსტრირებულია 15 ცხრილით, 65 ფოტოსურათით, 18

დიაგრამით. გამოყენებულია 126 დასახელების ლიტერატურა, მათ შორის 107 უცხოურ ენაზე.

სადისერტაციო ნაშრომის შინაარსი ნაშრომის შესავალში დასაბუთებულია თემის აქტუალობა, მოცემულია კვლევის მიზანი და ამოცანები, ასახულია მეცნიერული სიახლე და ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომის I თავში წარმოდგენილია იაპონური კამელიის ბუნებრივი გავრცელების არეალი, საქართველოში გავრცელების ისტორია, ბოტანიკურ-სისტემატიკური დახასიათება და სახეობაში შემავალი ჯიშებისა და ჰიბრიდების ბიოლოგიური მრავალფეროვნება. ასევე აღწერილია ვეგეტატიური და გენერაციული კვირტების ფორმირებისა და განვითარების ბიოლოგია.

თავი II. კვლევის ობიექტი, მასალა და მეთოდები: კვლევის ობიექტს წარმოადგენდა შავი ზღვის სანაპიროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიმდებარე ტერიტორიებსა და ბათუმის ბოტანიკურ ბაღში გავრცელებული იაპონური კამელიის 15 ჯიშში: Aurora; Delectissima; Aranin; Hibiscus; Beni-karako; Marchioness of Salisbury; Eleonor Franchetti; Anemonaeflora; Anemonaeflora alba; Anemonaeflora rosea; Margaret Walker; Eleqans; Pelaqia; Goffredo Odero; Derbyana, 11 ჰიბრიდი და 13 ფორმა. კამელიის მრავალფეროვნების შესწავლა განხორციელდა ექსპედიციის გზით, კვლევები ტარდებოდა ლაბორატორიულ და საველე პირობებში.

კამელიის ჯიშების იდენტიფიკაციისათვის გამოყენებული იყო საერთაშორისო ნომენკლატურა (Trujillo 2002; Gonos...1999). წლიურ დინამიკაში ისწავლებოდა მცენარის ფენოლოგიური ფაზების მიმდინარეობა (2004; 2015). ნიშან-თვისებათა მემკვიდრეობითობის შესწავლისას ვიყენებდით ჰიბრიდოლოგიურ მეთოდს.

ფენოლოგიური ნაერთების (ანტოციანები, ფლავანოიდები) რაოდენობრივი და თვისობრივი შემცველობა ისაზღვრებოდა აპრობი-

დასკვნები

1. იაპონური კამელიის აჭარაში გავრცელებული ჯიშების, ჰიბრიდებისა და ფორმების ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესწავლის მიზნით ჩვენ მიერ იდენტიფიცირებულია იაპონური კამელიის 30-მდე ჯიშისა და 11 ჰიბრიდული ფორმა, ხოლო 2009-2012 წლებში ჩატარებული სამეცნიერო ექსპედიციების შედეგად გამოვლენილი და აღწერილია ბათუმის ბოტანიკური ბაღისათვის ახალი 13 ფორმა.
2. ჰიბრიდოლოგიურ სამუშაოებში ჩართვის მიზნით 2008 წელს დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტის ბოტანიკური ბაღიდან, შუსენდორფის დენდროლოგიური პარკიდან და ჩეხეთის ბოტანიკური ბაღიდან ჩვენ მიერ (ზ. ბაკურიძესთან ერთად) ინტროდუცირებული იქნა ნერგის სახით აჭარასა და ბათუმის ბოტანიკური ბაღისათვის ახალი კამელიის ექვსი ჯიშისა და ერთი ჰიბრიდული ფორმა;
3. გენოტიპისაგან დამოკიდებულებით იაპონური კამელიის ზრდის ინტენსივობა განსხვავებულია. ძლიერი ზრდით გამოირჩევა ჯიშები: Derbyana, Anemonaeflora rosea, Eleonor Franchetti, Margaret Walker, Pelaqia, Goffredo odero და Delectissima, საშუალო ზრდით: Aranin, Beni-karako, Eleqans და Anemonaeflora alba, ხოლო ნელი ზრდით Hibiscus, Aurora და Anemonaeflora;
4. გენოტიპისაგან დამოკიდებულებით იაპონური კამელიის თესლის აღმოცენების უნარი განსხვავებულია და ცვალებადობს - 10-დან 90%-მდე ფარგლებში. ყველაზე მაღალი აღმოცენების უნარი ახასიათებს ჯიშ Delectissima-ს (90%), ყველაზე დაბალი - ჯიშ Eleonor Franchetti-ს (10%);
5. იაპონური კამელია ჯიშ ჰიბისკუსის მიმართ დადგენილია ყვავილის შეფერილობის დამოკიდებულება ტემპერატურასთან, კერძოდ, 8,5-9,0 C⁰-ზე დაბალი საშუალო ტემპერატურის პირობებში მცენარეზე ვითარდება ვარდისფერი ყვავილი, ხოლო

ცხრილი 13

**დათიშვის გენეტიკური თავისებურებანი იაპონურ კამელიაში
რეციპროკული შეჯვარების დროს**

#	შეჯვარების კომბინაცია	გაანალიზებული ნათესალების რ-ბა	დედის მსგავსი ნიშნით		მამის მსგავსი ნიშნით		შუალედური		ახალწარმო-ნაქმნი	
			რიცხვი	პროცენტი	რიცხვი	პროცენტი	რიცხვი	პროცენტი	რიცხვი	პროცენტი
1	Minato-no-akebono X Delectissima	260	59	22,7±2,5	163	62,7±2,9	31	12,0±1,8	7	2,6±0,9
2	Delectissima X Minato-no-akebono	330	208	63,0±2,6	65	19,7±2,1	52	15,8±2,0	5	1,5±0,6
3	Minato-no-akebonoX Alba Simplex	290	65	22,4±2,4	178	61,3±2,8	40	13,8±1,9	7	2,4±0,8
4	Alba SimplexX Minato-no-akebono	349	212	60,7±2,6	68	19,5±2,1	52	14,9±2,2	17	4,9±1,1
5	Anemonaeflora alba X Takayama	420	93	22,1±2,0	252	60,0±2,3	67	15,9±1,7	8	1,9±0,6
6	Takayama X Anemonaeflora alba	322	191	59,3±2,7	61	18,9±2,1	49	15,2±2,0	21	6,5±1,3

რებული მეთოდებით: ა). ანტოციანები- spectral-მეთოდი; ბ) ფენო-ლური ნაერთები - HPLC მეთოდი (Olszewska 2007).

ციტოგენეტიკური კვლევები ჩატარებული იქნა საყოველთაოდ აღიარებული პუხალსკის მეთოდით (Пухальский...2007).

აღმოცენება და გახარების პროცენტი ითვლებოდა ურბახის მეთოდით (Урбах 1975; Гераськин...2010), ბიომეტრული გაზომვების შედეგები და სხვა რაოდენობრივი მაჩვენებლები განსაზღვრული იქნა საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტატისტიკური მეთოდით (...2008). საშუალო სიდიდეებს შორის სხვაობა ითვლებოდა სარწმუნოდ, მაშინ როცა t_d -ს (სხვაობის სარწმუნოება) მნიშვნელობა ტოლი იყო ან აღემატებოდა სტიუდენტის კრიტიკურიუმს (t) t_d t (2008). ექსპერიმენტულ მონაცემებს ვამუშავებდით ასევე სპეციალური კომპიუტერულ პროგრამის (Graphpad prisma 6) დახმარებით ($P<0,05$).

თავი III. იაპონური კამელიის აჭარაში გავრცელებული ჯიშების, ჰიბრიდებისა და ფორმების ბიოლოგიური მრავალფეროვნება.

III.1. აჭარაში გავრცელებული იაპონური კამელიის ჯიშების დახასიათება

2010-2016 წლებში ჩვენს მიერ შესწავლილი და აღწერილი იქნა აჭარაში გავრცელებული სხვადასხვა დროს ინტროდუცირებული იაპონური კამელიის ჯიშების, ჰიბრიდებისა და ფორმების მრავალფეროვნება. გამოვლენილი იქნა იაპონური კამელიის 72-მდე ჯიში, მათ შორის ჩვენ მიერ იდენტიფიცირებული იქნა 30-მდე ჯიში და 11 ჰიბრიდული ფორმა. ყვავილის მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით კამელიის ჯიშები გაერთიანებული იქნა 6 ჯგუფში. ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის საცდელ ნაკვეთზე გამრავლებული და დარგული იქნა იაპონური კამელიის 72 ჯიშის, 11 ჰიბრიდისა და 13 პერსპექტიული ფორმის 250 -მდე სტანდარტული ნერგი.

III.2 აჭარაში გავრცელებული იაპონური კამელიის ფორმები

2009-2012 წლებში აჭარაში არსებულ ნარგავებში ჩატარებული სამეცნიერო ექსპედიციების შედეგად ჩვენს მიერ გამოვლენილი და აღწერილი იქნა იაპონური კამელიის 13 ფორმა, რომელიც ახალია ბათუმის ბოტანიკური ბაღისთვის და საჭიროებს შემდგომ იდენტიფიკაციას.

III.3 ახალი ჯიშების ინტროდუქცია.

2008 წელს იაპონური კამელიის გენოფონდის გამდიდრებისა და სელექციაში გამოყენების მიზნით, გერმანიისა და ჩეხეთის ბოტანიკური ბაღიდან ჩვენს მიერ (ზ. ბაკურიძესთან ერთად) ნერგის სახით ინტროდუცირებული იქნა კამელიის 6 ახალი ჯიში (**Contessa Lavinia Maggi, Moshio, Pillnitz, Amalia Melzi, Minato-no-akebono**) მათი შემდგომი შესწავლის მიზნით მიმდინარეობს დაკვირვება.

თავი IV. იაპონური კამელიის რეპროდუქციული აქტივობის

ბიოლოგიური თავისებურებანი

II.1 ყვავილობის ვადებისა და ხანგრძლივობის ცვალებადობა იაპონური კამელიის ჯიშებსა და ჰიბრიდებში

შესწავლილი იქნა ყვავილობის ვადებისა და ხანგრძლივობის ცვალებადობა იაპონური კამელიის ჯიშებსა და ჰიბრიდებში. კვლევის შედეგებმა ცხადყვეს, რომ იაპონური კამელია აჭარაში ყვავილობას იწყებს ძირითადად ნოემბრის ბოლოს ან დეკემბრის დასაწყისში, მაშინ, როცა ჰაერის საშუალო დღე-ღამური ტემპერატურა $6,5-10^{\circ}$ -ია, ინტენსიური ყვავილობა აღინიშნება $10-16^{\circ}$ -ის პირობებში, ხოლო $6,5^{\circ}$ -ზე ქვემოთ ყვავილობა წყდება. ზოგიერთ ჯიშში ყვავილობა იწყება თებერვალში და გრძელდება მაისის ან ივნისის ბოლომდე. ჩვენს კლიმატურ პირობებში კამელიის მასიური ყვავილობა აღინიშნება თებერვალ-მარტში. ყვავილობის ხანგრძლივობა ჯიშებსა და ჰიბრიდებში წლის კლიმატური პირობების მიხედ-

მცენარეების რაოდენობა 3-ჯერ მეტი აღმოჩნდა, ვიდრე მამის მსგავსი მცენარეები.

ამრიგად დათიშვა აღნიშნული ნიშნის მიხედვით პირველ შემთხვევაში იყო დაახლოებით 1:3 თანაფარდობით, ხოლო მე-2 შემთხვევაში პირიქით 3:1-თან. იგივე შედეგები მივიღეთ მე-3 და მე-4 კომბინაციაშიც. აღნიშნული შედეგი ცალსახად ადასტურებს იმას, რომ იაპონური კამელიის ჯიშები დელექტისიმა და ალბა სიმპლექსი ფოთლის სიდიდის მიხედვით დომინანტობენ ჯიშ მინატო-ნო აკებიანოზე. უკანასკნელი ხასიათდება ძალიან წვრილი ფოთლებით.

Takayama და Anemonaeflora alba-ს რეციპროკული შეჯვარებისას მიღებული შედეგები ცხადყოფენ, რომ გრძელყუნწიანი ფოთლების მქონე ნათესართა რაოდენობა, როცა ჯიში ტაკაუმა აღებულია მამა კომპონენტად, მამის მსგავსი ნათესარები (გრძელყუნწიანი) სამჯერ მეტია, ვიდრე დედის მსგავსი (მოკლეყუნწიანი). ორივე კომბინაციაში გრძელყუნწიანი ფოთლის მქონე ნათესარების რაოდენობა სამჯერ აღემატება მოკლეყუნწიანი ფოთლების რაოდენობას, რაც ასევე ცალსახად ადასტურებს აღნიშნული ნიშნის მიხედვით ჯიშ Takayama -ს დომინანტობას ჯიშ ანემონეფლორა ალბაზე.

ამრიგად, ჩვენს მიერ ჩატარებული ჰიბრიდოლოგიური სამუშაოები ადასტურებენ, რომ ერთი და იგივე შესაჯვარებელი კომპონენტი სხვადასხვა კომბინაციაში დედა თუ მამა მცენარედ გამოყენების შემთხვევაში სხვადასხვა შედეგს იძლევა.

განვითარებული ნაყოფის რაოდენობა და თესლის აღმოცენებისუნარიანობა იაპონურ კამელიაში რეციპროკული შეჯვარების დროს

ცხრილი 12

#	შეჯვარების კომბინაცია	დამტვირთული ხული ყვავილის რაოდენობა	განვითარებული ნაყოფის რაოდენობა		სულ თესლის რაოდენობა	აღმოცენების უნარიანობა	
			რიგ-ბეი	%		რიგ-ბეი	%
1	Minato-no-akebono X Delectissima	530	140	26,4±1,9	638	555	86,9±1,3
2	Delectissima X Minato-no-akebono	645	160	24,8±2,8	725	613	84,5±1,3
3	Minato-no-akebono X Alba Simplex	545	175	32,1±1,9	691	523	75,7±1,6
4	Alba Simplex X Minato-no-akebono	635	177	27,8±1,7	805	639	79,4±2,3
5	Anemonaeflora alba X Takayama	515	169	32,8±2,0	795	628	78,9±1,4
6	Takayama X Anemonaeflora alba	613	147	24,0±1,7	691	510	73,8±1,6

ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ იაპონურ კამელიაში ხელოვნური დამტვირთვა სასარგებლო გამონასკვისა და ნაყოფის განვითარების მხრივ საკმაოდ კარგ შედეგს იძლევა. გამონასკვის ყველაზე მაღალი პროცენტი (32%) აღინიშნა შეჯვარების მე-3 და მე-5 კომბინაციებში, მაღალი იყო ასევე თესლის მინდვრული აღმოცენების უნარი (73-86%) და ნაყოფში განვითარებული თესლის რაოდენობაც (638-805 ცალი).

განსაკუთრებით საინტერესო შედეგები დაფიქსირდა ერთწლიან ნათესარებზე დათიშვის გენეტიკური ანალიზის ჩატარებისას (ცხრილი 13), დადგინდა, რომ ერთი და იგივე შესაჯვარებელი კომპონენტი სხვადასხვა კომბინაციაში დედა თუ მამა მცენარედ მისი გამოყენების შემთხვევაში სხვადასხვა შედეგს იძლევა. Minato-no-akebono-სა (დედა) და Delectissima-ს (მამა) შეჯვარებისას ფოთლის სიდიდის მიხედვით მამის მსგავსი აღმოჩნდა მცენარეთა 3-ჯერ მეტი რაოდენობა, ვიდრე დედის მსგავსი. აღნიშნულ ჯიშებს შორის რეციპროკული შეჯვარებისას Delectissima (დედა), Minato-no-akebono (მამა), დედის მსგავსი

დვით იცვლება. ეს ეხება იაპონური კამელიის თითქმის ყველა ჯიშსა და ჰიბრიდს.

როგორც პირველი ცხრილის მონაცემებიდან ჩანს იაპონური კამელიის ჯიშები ყვავილობის პერიოდის მიხედვით გაერთიანდა სამ ჯგუფად: ა) ადრე მოყვავილე (ნოემბერ-დეკემბერი) – Delectissima; ბ) შედარებით გვიან მოყვავილე (იანვარ-თებერვალი)- Beni-karako, Aranin, Anemonaeflora, Anemonaeflora Alba, Anemonaeflora rosea, Derbyana, Elegans, Pelaqia, Margaret Walker და Goffredo odero და გ) გვიან მოყვავილე (მარტი-აპრილი) - Eleonor Franchetti, Aurora და Hibiscus. ოპტიმალურ პირობებში ბუთხუზა ყვავილიანი ჯიშების ყვავილი მცენარეზე რჩება 15-25 დღის განმავლობაში, ხოლო მარტივყვავილიანში - 6-8 დღეს.

ყვავილობის ვადებისა და ხანგრძლივობის ცვალებადობა იაპონურ კამელიაში 2009-2013 წწ.

ცხრილი 1

ჯიშების დასახელება	2009-2010		2010-2011		2011-2012		2012-2013	
	ყვავილობის დასაწყისი	ყვავილობის დასასრული	ყვავილობის დასაწყისი	ყვავილობის დასასრული	ყვავილობის დასაწყისი	ყვავილობის დასასრული	ყვავილობის დასაწყისი	ყვავილობის დასასრული
Delectissima	30/XI	7/V	15/XII	25/V	28XII	12/V	20XI	15/V
Beni-karako	25/I	15/V	10/II	7/VI	15/I	15/V	30/II	11/V
Anemonaeflora	30/II	20/V	5/I	15/V	20/II	5/V	25/I	30/V
Anemonaeflora alba	10/I	25/V	28/II	20/VI	10/I	25/VI	15/I	30/V
Anemonaeflora rosea	25/II	30/V	10/I	20/VI	28/I	25/VI	10/II	30/V
Derbyana	27/II	26/VI	10/II	30/V	18/I	6/VI	15/II	30/V
Elegans	20/II	15/V	8/II	12/VI	20/I	6/VI	15/I	10/V
Eleonor Franchetti	20/III	28/V	10/IV	10/VI	15/VI	30/VI	27/III	20/V
Marchioness of Salisbury	30/II	5/V	15/II	10/V	10/I	5/VI	28/II	15/V
Pelaqia	15/II	20/VI	8/I	20/V	10/II	18/VI	20/I	25/V
Margaret Walker	30/II	29/VI	25/I	25/V	15/III	3/VI	30/II	10/VI
Goffredo Odero	15/I	19/V	20/III	15/V	30/I	28/VI	15/I	25/V
Aranin	18/XII	20/V	10/ XI	6/V	28XII	15/V	8/ XI	1/V
Hibiscus	10/IV	30/V	18/IV	12/VI	15/III	12/V	30/III	25/VI
Aurora	31/III	28/V	6/IV	8/V	10/IV	10/VI	25/III	20/V

ყვავილობის ხანგრძლივობის მიხედვით ჯიშებს შორის განსხვავება შეადგენს 25-30 დღეს.

დაკვირვებას ვაწარმოებდით კამელიის ჰიბრიდებზეც, რომლის შედეგად გამოვლინდა, რომ ყვავილობის ვადების მიხედვით განსხვავებულია იაპონური კამელიის ჰიბრიდებიც (ცხრილი 2) და იყოფა სამ ჯგუფად: ა) ადრე მოყვავილე (## 5602; 522; 524; 655); ბ) საშუალო მოყვავილე (## 391; 5529; 390; 640; 543), გ) და გვიან მოყვავილე (## 560; 535).

ყვავილობის ვადებისა და ხანგრძლივობის ცვალებადობა
იაპონური კამელიის 2010-2012 წწ. ჰიბრიდებში

ცხრილი 2

#	2010			2011			2012		
	ყვავილობის დასაწყისი	ყვავილობის დასასრული	ყვავილობის ხანგრძლივობა, დღე	ყვავილობის დასაწყისი	ყვავილობის დასასრული	ყვავილობის ხანგრძლივობა, დღე	ყვავილობის დასაწყისი	ყვავილობის დასასრული	ყვავილობის ხანგრძლივობა, დღე
391	5/II	20/V	104	11/III	21/VI	102	20/III	20/VI	92
5602	20/I	22/IV	92	6/II	25/V	109	20/II	25/V	94
5529	15/II	30/IV	74	10/III	24/VI	106	15/III	15/VI	87
390	11/II	22/IV	70	11/III	15/VI	94	5/III	12/VI	99
522	26/I	22/IV	86	10/II	25/V	105	22/II	29/V	90
640	25/II	30/IV	64	10/III	20/VI	102	20/III	12/VI	84
560	27/III	25/V	59	15/III	10/VI	87	10/III	30/VI	112
524	9/I	30/IV	80	12/II	10/V	88	7/II	9/V	91
535	5/III	26/V	83	18/III	8/VI	82	20/III	25/VI	97
655	25/I	26/IV	91	12/II	25/V	103	26/II	31/V	94
543	22/II	2/V	69	15/III	23/VI	100	4/III	20/VI	108

ამრიგად იაპონური კამელიის, ჯიშებისა და ჰიბრიდების ყვავილობის ვადები და ხანგრძლივობა განსხვავებულია და იგი ძირითადად დამოკიდებულია გენოტიპის თავისებურებებზე, კლიმატურ პირობებზე (განსაკუთრებით ჰაერის საშუალო თვიურ ტემპერატურაზე) და სხვა ფაქტორებზე.

ანემონეფლორა X გრანდიფლორა ალბა კომბინაციის შემთხვევაში ჰიბრიდების 50%-ში მემკვიდრებს ყვავილის წითელი შეფერილობა (დედის მხრიდან), 16%-ის შემთხვევაში ყვავილის თეთრი შეფერილობა (მამა), ხოლო 34%-ის შემთხვევაში ვლინდება არა გარდამავალი, არამედ ყვავილის სრულიად განსხვავებული შეფერილობა, რომელიც წარმოადგენს თეთრი, წითელი და იასამნისფერი შეფერილობის კომბინაციებს.

VI.3 დათიშვის გენეტიკური თავისებურებანი იაპონურ კამელიაში

სელექციურ-გენეტიკურ საქმიანობაში დიდი მნიშვნელობა აქვს რაოდენობრივ და თვისობრივ ნიშნებს შორის კოლერაციული კავშირების დადგენას. ამ მიზნით ჩატარებული კვლევების შედეგად დადგენილი იქნა, რომ იაპონური კამელიის ფოთლის ყუნწის სიგრძე პირდაპირ კორელაციაშია ყვავილის სიდიდესთან და პირიქით. ანალოგიური დამოკიდებულება იქნა გამოვლენილი ყვავილისა და ფოთლის სიდიდეებს შორის. აღნიშნულის გათვალისწინებით ჩვენს მიერ განხორციელდა რეციპროკული შეჯვარება იაპონური კამელიის ჯიშებს შორის ექვს კომბინაციაში ორი მარკირებული ნიშნის მიხედვით. რეციპროკული შეჯვარებას ხშირად ხელს უშლის იაპონური კამელიის ცალკეული ჯიშების სტერილობა. აღნიშნულის გათვალისწინებით ჰიბრიდიზაციაში ჩართული იქნა ხუთი ჯიში, მათ შორის ოთხ კომბინაციაში (1-4) დათიშვის გენეტიკური ანალიზი ჩატარდა ფოთლის სიდიდის მიხედვით, ხოლო ორ კომბინაციაში (5-6) -ყუნწის სიგრძის მიხედვით. თითოეული კომბინაციაში დამტკიცრებელი იქნა 515-დან 645-მდე ყვავილი (ცხრილი 12).

24 საათიან ექსპოზიციისას 10, 20, და 30%-იან კონცენტრაციის შემთხვევაში ყველაზე მაღალი პროცენტი (10%-32,3%; 20%-32% და 30% - 23.6%) დაფიქსირდა ჯიშ Delectissima-ში ხოლო დაბალი (10%-20,6%; 20%-22,3% და 30% - 13%) ჯიშ -Beni-karako-ში (დია. 15).

ამრიგად, იაპონური კამელიის მტვრის მარცვლის გაღვივების უნარიანობა ჯიშებისა და საკვები არის მიხედვით განსხვავებულია. ყველაზე მაღალი პროცენტი აღინიშნა აგარ-აგარისა და საქაროზას 10% -იანი საკვები არისა და 12 საათიანი ექსპოზიციის გამოყენებისას.

VI.2. ნიშან-თვისებათა დამემკვიდრების გენეტიკური თავისებურებანი იაპონურ კამელიაში სხვადასხვა მარკირებული ნიშნების მიხედვით

შესწავლილი იქნა იაპონური კამელიის 11 ჯიშთაშორის ჰიბრიდში მორფოლოგიურ ნიშან-თვისებათა დამემკვიდრების გენეტიკური თავისებურებანი. აღნიშნული ჰიბრიდები ყვავილის ფორმისა და აგებულების მიხედვით გავაერთიანეთ 4 ჯგუფში:

I ჯგუფი – მარტივყვავილიანები - #524 - (Anemoneeflora X Grandiflora Alba) ჰიბრიდი;

II ჯგუფი - ნახევრად ბუთბუზა ყვავილიანები -#560 (Anemoneeflora X Grandiflora Alba), #535-(Delphine X Grandiflora Alba), # 522 (Delphine X Grandiflora rozea), #543 (Anemoneeflora X Grandiflora Alba), # 5602 (Anemoneeflora X Delphine) ჰიბრიდები.

III ჯგუფი – ანემონისნაირყვავილიანები- #5529 (Anemoneeflora X Grandiflora Alba) ჰიბრიდი;


IV ჯგუფი – იორდასალამისნაირყვავილიანი- #655 – (Delphine X Grandiflora rozea), #391 – (Derbyana X Grandiflora Alba), #390 – (Anemoneeflora X Grandiflora Alba), #640 –(Anemoneeflora X Grandiflora Alba) ჰიბრიდები.

ზემოთ ჩამოთვლილ ჰიბრიდებში ყვავილის შეფერილობა ჯიშების მიხედვით განსხვავებულად მემკვიდრეობს. მაგალითად,

IV.2 იაპონური კამელიის გამრავლებისა და განვითარების ბიოლოგიური თავისებურებანი

იაპონური კამელია მრავლდება როგორც გენერაციული ისე ვეგეტატიური გზით. ვეგეტატიური გამრავლების ბიოლოგიური თავისებურებების შესწავლის მიზნით კვლევები ჩატარდა კამელიის 15 ჯიშზე: Delectissima; Beni-karako; Anemoneeflora, Anemoneeflora alba, Derbyana, Eleqans, Eleonor Franchetti; Pelaqia, Margaret Walker, Goffredo odero, Aranin, Aurora, Marchioness of Salisbury, Anemoneeflora rosea და Hibiscus. დასაკალმებლად ვიყენებდით ერთწლიან და ნახევრად გამერქნებულ კალმებს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კალმის დაფესვიანების უნარი ჯიშების მიხედვით განსხვავებულია და მერყეობს 10-დან 95%-ის ფარგლებში. დაფესვიანების ყველაზე დაბალი პროცენტი აღინიშნა ჯიშ-Eleonor Franchetti-ში, ხოლო ყველაზე მაღალი - Pelaqia -სა და Goffredo odero -ში (დიაგ. 1).




